”ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის”

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ახალი პროგრამის ”ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის” განხორციელებას იწყებს. პროგრამის მიზანია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. კერძოდ:

Ø ქართული ენის სახლების დაარსება

Ø მასწავლებელთა ტრენინგები

Ø მულტილინგვური სწავლება

Ø ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო მასალები

Ø საზაფხულო ბანაკები

Ø ბილინგვური სკოლამდელი განათლების ცენტრები

Ø მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები

Ø სკოლების დაძმობილების პროგრამა, კონკურსები და სხვა ღონისძიებები

Ø პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში

Ø დოქტორანტების ჩართულობა

პედაგოგების გაგზავნა არაქართულენოვან სკოლებში

არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2011 წელს გაგზავნის ბაკალავრის ხარისხის მქონე სასკოლო საგნების სპეციალისტს, რომლებიც დაეხმარებიან ადგილობრივი არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესის ბილინგვურად წარმართვისა ან ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებაში. ასეთი სახის პროგრამა ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოსწავლეთა და პედაგოგთა ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, არამედ მოსახლეობასთან ინტერაქციას და გაკვეთილების შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ქართული ენის ფლობის დონეს.

უნდა აღინიშნოს რომ პროგრამის მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სთავაზობს:

Ø პროგრამის ბაკალავრ მონაწილეებისთვის, მაგისტრატურაში სწავლის სრულად დაფინანსებას;

Ø ყოველთვიურ შემოსავალს.

დაინტერესებულ სტუდენტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგნელებთან შეხვედრაზე.